ჩვენი გარემო

ლია შალვაშვილი

მოსწავლის სახელმძღვანელო
ბუნებისმეტყველებაში

შემეცნება

ჩვენი გარემო 2

ლია შალვაშვილი

მოსწავლის სახელმძღვანელო
ბუნებისმეტყველებაში

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

შემეცნება
თბილისი • 2018

ჩვენი გარემო 2
მოსწავლის სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებაში

ავტორი:
ლია შალვაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) – პედაგოგი, ბიო-გეოგრაფი,
გეოგრაფ. მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი

რედაქტორი – **გივი ბოჯგუა** – ფილოლოგი

დიზაინერი და დამკაბადონებელი – **მანანა მაჭავარიანი**
მხატვრობა და კომპიუტერული გრაფიკა – **ილია ჭრელაშვილის**
ფოტოები – **აკაკი მუშკიაშვილის**
გარეკანის დიზაინი – **ნატო ყუბანეიშვილის**

ყველა უფლება დაცულია.
ამ სახელმძღვანელოს არც ერთი ნაწილი, არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ISBN 978-9941-428-64-7

© გამომცემლობა „შემეცნება“, 2018
© ლ. შალვაშვილი, 2018
თბილისი, ანტონოვსკაიას 9ბ
ტელეფონი 995 32 260 23 15; 995 599 55 05 54
ელფოსტა: info@shemetsneba.ge
ვებგვერდი: www.shemetsneba.ge

მესამე გამოცემა, 2018

CHVENI GAREMO (OUR NATURE) 2
Student's textbook in Natural Science

Author **Lia Shalvashvili**
Redactor **Givi Bojgua**

All rights reserved

© Publishing House SHEMETSNEBA, 2018
© L. Shalvashvili, 2018
9b Antonovskaya Street., Tbilisi, Georgia
Phone 995 32 260 23 15; 995 599 55 05 54
E-mail: info@shemetsneba.ge
www.shemetsneba.ge

სახელმძღვანელოს გამოყენების ინსტრუქცია

გაკვეთილის ნომერი და სათაური

გაკვეთილის ძირითადი ტექსტი

ილუსტრაცია, რომელიც გეხმარება საგაკვეთილო ტექსტის უკეთ აღქმაში



რუბრიკა „გახსოვდეს!“, რომელიც განგიმარტავს უცხო სიტყვას

რუბრიკა „დავალება“, რომელიც მასალის შეჯამებისა და ცოდნის განმტკიცების მიზნით არის წარმოდგენილი

გვერდის ნომერი

სარჩევი

ადამიანი

1. ცოცხალი და არაცოცხალი 6
2. ადამიანის სხეული 7
3. ჩვენ ვმოძრაობთ 8
5. ადამიანის ზრდა 10
6. ადამიანის კვება 12
7. პირადი ჰიგიენა 13

მცენარეები

9. მცენარის ნაწილების დანიშნულება 14
10. მცენარის ნაწილების მრავალფეროვნება 16
11. როგორ მოვუაროთ მცენარეს 17
12. ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეები 18
14. ფოთლები 19
15. მცენარეთა ზრდა 20

ცხოველები

16. ცხოველთა ნაშიერები 22
17. ცხოველთა ზრდა 23

სხეულები

18. მოძრავი და უძრავი 24
19. სხეულთა მოძრაობის სახეები 25

საარსებო გარემო

20. საარსებო გარემო 26
21. სიცოცხლე ხმელეთზე 27
22. სიცოცხლე წყალში 31
23. ფრინველთა საარსებო გარემო 32
24. სხვადასხვა საბინადრო 34
26. ადამიანთა საცხოვრებელი 35
28. ბუნებრივი და ხელოვნური გარემო 37
29. ტყე და ადამიანი 38
31. ბოტანიკური ბაღი და ზოოპარკი 40

ჯანსაღი ცხოვრება

32-33. კვირის დღეები და კალენდარი 42
38. სასარგებლო პროდუქტი 43
39. დასვენება და ჯანმრთელობა 44
40. სპორტი და უსაფრთხოება 45

მაგნიტი

41. რა არის მაგნიტი? 48
42. მაგნიტის თვისებები 49

43. მაგნიტის თვისებები (გაგრძელება) 51
44. მაგნიტის ფორმა და ზომა. დამაგნიტება 52
45. მაგნიტის პოლუსები 53

მასალები

47. სხეულები 54
48. სხვადასხვა მასალა 55
49. ხე-ტყე 58
50. ქვიშა და თიხა 61
51. ლითონები 66
52. მინა 70
53. რეზინი 72

წყალი და ხმელეთი

54. წყალი და ხმელეთი 74
55-56. მთა და მისი ნაწილები 75
57-58. მდინარე და მისი ნაწილები 77
59. მდინარის ნაპირი და შენაკადები 79
60. ტბა 81

ადამიანი და გარემო

62. ადამიანი და გარემო 84
63. ბუნებრივი რესურსები 85
64. რომელი ბუნებრივი რესურსები
შეიძლება იყოს ულევი? 87
65. წყლის დაბინძურება 89
66. ნარჩენები და მათი გადამუშავება 91

რუბრიკების პირობითი ნიშნები

გააფერადე, დახატე
ან შეაერთე ხაზით

გამოჭერი და
ჩააკარი

დააკვირდი

ჩაწერე

ჩაატარე ცდა

მოიფიქრე

1. ცოცხალი და არაცოცხალი

I. დაასახელე იმ სურათის ნომერი, რომელზეც ცოცხალი დათვია გამოსახული.
შემდეგ იმ სურათის ნომერი, რომელზეც არაცოცხალი დათვია გამოსახული.

II. დაასახელე იმ სურათის ნომერი, რომელზეც ცოცხალი ოთახის ყვავილია გამოსახული.
შემდეგ იმ სურათის ნომერი, რომელზეც ოთახის არაცოცხალი ყვავილია გამოსახული.

2. ადამიანის სხეული

I. დააკვირდი ბიჭისა და გოგოს სურათებს. დაასახელე მათი სხეულის გარეგანი ნაწილები.





ადამიანის სხეულის გარეგანი ნაწილებია: თავი, კისერი, ტანი, ხელები, ფეხები. ხელებსა და ფეხებს კიდურებს ვუწოდებთ. ხელები ზედა კიდურებია, ფეხები – ქვედა.

3. ჩვენ ვმოძრაობთ



I. დააკვირდი ფოტოებს. ამოიცანი, რა სახის მოძრაობას ასრულებს ადამიანი და დაასახელე მოძრაობის აღმნიშვნელი სიტყვა.

სიარული სირბილი ხტომა ცურვა ცოცვა ტრიალი



ადამიანს შეუძლია სხვადასხვა სახის მოძრაობის შესრულება: სიარული, სირბილი, ხტომა, ცურვა, ცოცვა, ტრიალი.

ადამიანის სხეულის ნაწილები მონაწილეობენ მოძრაობაში.

მინდა მეცი ვიცოდე

ცურვა ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლო სპორტის სახეობაა. ცურვის დროს ფიზიკური ვარჯიში წყალში ხდება.

თუ ცურვით დაკავდები, შენი ორგანიზმი გაკაჟდება. უფრო ჯანსაღი ძილი, კარგი მადა და საუკეთესო განწყობა გექნება.

ცურვის დროს ხელების და ფეხების მოძრაობა დაგეხმარება იმაში, რომ არ ჩაიძირო და გადაადგილდე.

5. ადამიანის ზრდა



I. ქვემოთ მოცემულ სიტყვებს შეურჩიე შესაბამისი ფოტო. დაასახელე ფოტოს რიგითი ნომერი.

მოზარდი ჩვილი ზრდადასრულებული ბავშვი

ა)

ბ)

ადამიანი ცოცხალი არსებაა. ის იბადება, სუნთქავს, მოძრაობს, იკვებება და იზრდება. ზრდისას ყველა ადამიანი იცვლება. ადამიანს ზრდისთვის სჭირდება ჰაერი, საკვები, წყალი, სითბო, ძილი...

6. ადამიანის კვება



I. ხილი და ბოსტნეული ბევრ ვიტამინს შეიცავს. დააკვირდი კალათებში მოთავსებულ მცენარეებს და წაიკითხე ტექსტი;
მეწყვილესთან ერთად იმსჯელე და დაასახელე კალათებში ჩაწყობილი მცენარეები.

ვიტამინი A

თუ გსურს გაიზარდო, გქონდეს მაგარი კბილები და კარგი მხედველობა, – მე გჭირდები!

ვიტამინი B

თუ გსურს იყო ძლიერი, გქონდეს კარგი მადა და უცებ არ გაბრაზდე, – მე გჭირდები!



ვიტამინი C

თუ გსურს იშვიათად გაცივდე, იყო მხნედ და სწრაფად გამოჯანმრთელდე, – მე გჭირდები!

ადამიანი საკვების გარეშე ვერ გაიზრდება.
ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს, ვიტამინებით მდიდარი საკვებით უნდა იკვებებოდეს.

7. პირადი ჰიგიენა

II. მოცემული სიტყვების გამოყენებით ზეპირად შეავსე წინადადებები.

ივარჯიშო გაურეცხავი გამოიწმინდო ფრჩხილების დაბანა გაიხეხო

1. ჭამის წინ აუცილებელია ხელების ... .
2. კბილები უნდა ... დღეში ორჯერ – დილით და საღამოთი.
3. არასოდეს ჭამო ... ხილი და ბოსტნეული.
4. არ შეიძლება ... კვნეტა.
5. ყურები ბამბით უნდა ... .
6. დილაობით უნდა ... .

არსებობს პირადი და საერთო სარგებლობის ნივთები.

ჰიგიენის წესების დაცვა აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

შეამოწმე შენი ცოდნა

შეარჩიე და დაასახელე სწორი პასუხი:

1. პირადი ნივთია: სკამი, პირსახოცი, კარები.
2. საერთო სარგებლობის ნივთია:
   ტელევიზორი, კბილის ჯაგრისი, ღრუბელი.
3. ჯანმრთელი რომ იყო
   ხელები არ უნდა დაიბანო, უნდა ივარჯიშო,
   არასწორად უნდა იკვებო.